

საქართველოს  
სამედიაციო  
სამსახური  
808 00 00 00

# საქართველო

ეროვნული  
ზიგურიტივი

საერთოლი გავითი      ორშაბათი 23 აგვისტო 2004 №194 (2215)      ფასი 50 თეთრი



REUTERS ათენიდან

## გიორგი ასანიდძე საქართველო ასეა

# გიორგი ასანიძე

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონია! არადა, როცა აქ, ათენში მოვემგზავრებოდით, პროგნოზებზე ძალზე თავშეკავებულად საუბრობდა. თანდათან ჯანზე მოვედი, ფორმაში ვარ და, ვნახოთ, თუ ღმერთმაც გადმოგვხედა, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ეტყობა, ათენში მთლად ღმერთის იმედად არ ჩამოსულა. პირველად ეს მაშინ ვიგრძენი, როცა სარბიელზე მხნედ აირბინა, ჩვეულებისამებრ ფიცარნაგს ჭვინტი მისცხო, მერე ფეხიც ღონივრად დაჰკრა და როცა თავისი პირველი ნონა (172,5კგ) ტუჩებმოკუმულმა მსუბუქად დასძლია, საბოლოოდ ვიგრძენი, რომ გამარჯვებისთვის იყო განწყობილი.

ცოდა გამხელილი სჯობიაო და, ამ მომენტამდე მისი გამარჯვებისა, გაუთავებელი ტრავმიანობისა და ხელის ოპერაციების გამო არ მჯეროდა, მაგრამ ფიცარნაგზე ფეხის ღონივრად დაკვრამ თუ მეორე ცდაზე 177,5 კილოგრამზე მისვლამ, ყოველგვარი ეჭვი გამიფანტა და გულმა ბაგა-ბუგი დამინყო.

და აი, გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონია!

ოლონდაც აქ, ათენში, „ნიკაიას“ ძალოსნობის დარბაზში ჩვენი ჩემპიონისთვის ოვაცია არ მოუნყვიათ. ჩვენ, ერთი მუჭა ქართველები, ჩვენთვის ვგიჟდებოდით, დარბაზში კი თეთრ-

ლურჯჯვრიანი დროშების ტყე და ქარიშხალი იყო. პიროს დიმასის ბრინჯაოს მედალმა იქაურები ნამდვილ ეიფორიასა და ექსტაზში ჩააგდო...

ათენში, საპატიო კვარცხლბეკზე ჩვეულებისამებრ ჯერ ჩემპიონს კი არა, მესამე პრიზიორს უხმობენ, მერე ვერცხლისმედალოსანს, ბოლოს კი გამარჯვებულს. ჰოდა, როცა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი პიროს დიმასი კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე კალიასავით შეხტა, ისეთი ღრინაცელი ატყდა, დარბაზი ლამის დაინგრა. მისგან მეოთხე ოლიმპიურ ოქროს ელოდნენ, რაც დიმასს მსოფლიოში პირველ ძალოსნად გახდიდა, ვინც ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა, მაგრამ დიმასი ასანიძეს მთელი 5 კილოგრამით ჩამორჩა. ამის მიუხედავად, ეს ბერძენი მაინც პირველია, ვინც ამ სახეობაში მეოთხე ოლიმპიური მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკზე რომ ავიდა, დიმასმა თავის ბრინჯაოს აკოცა, დარბაზს თვალი მოავლო, მხრები აინურა და ხელები გაშალა, თითქოს თავის ქომაგთ ბოდიშს უხდიდა, მაპატიეთ, მეტი რომ ვერ შეეძელიო, მაგრამ არც მესამე ადგილია ცუდიო.

მანამდე, დიმასს თავის ბოლო ცდაზე 207,5 კილოგრამი რომ დაუფარდა და თავადაც გულალმა განერთხო, ერთ ხანს ფიცარნაგზე ასე გაუნძრევლად იწვა, მერე ნამოჯდა, შტანგა ახლოს მიიგორა, მის ღერძს ხელი გადაუსვა და ისე მოეფერა, როგორც საკუთარ შვილებს. ბოლოს წამოდგა, ფიცარნაგის კიდზე წაღები წაიძრო, იქვე დატოვა და წინდების ამარამ დატოვა სარბიელი.

ასე გამოეთხოვა ბერძენთა და მსოფლიოს ეს უდიდესი ძალოსანი თავის საყვარელ ფიცარნაგს. ოვაციებს კი ბოლო არ უჩანდა, ჩვენი ჩემპიონი და მეო-

რე პრიზიორი, ბელარუსი ანდრეი რიბაკოვი დიდხანს, ძალიან დიდხანს ამაოდ უცდიდნენ აზვირთებული გულშემატკივრების დაცხრომას, რათა ისინიც შემდგარიყვნენ კვარცხლბეკზე. ყოველივე ამაზე ასანიძე კეთილგანწყობით იღიმებოდა და თითქოს მასაც სიამოვნებდა მეტოქის გულშემატკივართა აღტკინება. რიბაკოვი კი როგორღაც უემოციოდ გაშეშებულიყო. თითქოს აინუშნიაც არ აგდებს ბერძენთა სიხარულსო. ბოლოს ბელარუსმა ველარ მონთმინა, გამოქანდა, კვარცხლბეკზე ავარდა და თავისი ადგილი დაიკავა.

იმ ღრიალში ბოლოს ასანიძეც ავიდა. და გამახსენდა სიდნეის ოლიმპიური თამაშები, სადაც დიმასი ჩემპიონი გახდა, გერმანელი ჰუსტერი ვერცხლის, ასანიძე კი ბრინჯაოს პრიზიორი, თუმცა, ჩვენი ძალოსანი მაშინ არავისთან დამარცხებულა. უბრალოდ, სამივე პრიზიორმა ერთნაირი ნონა დასძლია, ასანიძე კი მეტოქეებზე რამდენიმე გრამით მძიმე აღმოჩნდა, რამაც პირველი სამეულის თანმიმდევრობა განსაზღვრა...

მაგრამ დავბრუნდეთ „ნიკაიას“ დარბაზში, სადაც ოვაციები, ცხრაბალიანი ლელვასავით არ ცხრება.

იქაურობა მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როცა გიორგი ასანიძის პატივსაცემად საქართველოს ჰიმნი აუღერდა. მერე კი იყო ისევ ოვაციები, საყოველთაო ეიფორია და თეთრ-ლურჯი დროშების საოცარი ფრიალი, საიდანაც აქა-იქ იოლად გამოსარჩევი ჩვენი თეთრ-წითელი ციციანთელასავით გამოკრთოდა. მაგრამ ჩვენ ხომ ამ ციციანთელას მკაფიოდ ვხედავდით.

ბოლოს იყო ტრადიციული პრესკონფერენცია, რომელზეც პირველნი ასანიძე და რიბაკოვი გამოჩნდნენ, დიმასი კი

ამ დროს ისევ მრგვინავ დარბაზში აქეთ-იქით აგზავნიდა ჰაეროვან კოცნას. დარბაზი მთლად გადაირია, როცა, მან იქვე, პირველ რიგში მჯდომი ცოლშვილი ძლიერი მკლავებით გულში ჩაიკრა. იყო ერთი ხვევნა-კოცნა, ცოლის ცრემლები და სამივე შვილის ქვითინი, რომლებიც ვერც კი აცნობიერებდნენ, რა მოხდა. მერე დიმასმა შვილები საპატიო კვარცხლბეკზე ალალა და ისინიც ბედნიერები ატანტალდნენ.

პრესკონფერენციაზე გიორგი ასანიძემ მადლობა გადაუხადა თავის მწვრთნელ ვანო გრიჭუროვს. თქვა, ეს ოცნლიანი შრომის დაფასება იყო, რაც ურთულეს ბრძოლაში მოვიპოვეთ.

„დიმასის დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ მე და ჩემმა მწვრთნელმა დაგვემილი ტაქტიკური ბრძოლა განვახორციელეთ, აღარ გავიმეორეთ ის შეცდომა, რომელიც სიდნეიში დავუშვი. არ შეიძლება, არ აღინიშნოს დიმასის წარმატება. მას სულ ცოტა დააკლდა მეოთხე ოქროს მოსაპოვებლად, მაგრამ დღეს იღბალი ჩემს მხარეს იყო და მიხარია, რომ შრომა დამიფასდა.“

პრესკონფერენციაზე ასანიძეს ვილაც ჟურნალისტმა სიტყვა გადაუკრა ჭაბუკობისდროინდელ, დოპინგთან დაკავშირებულ სკანდალზე, რაზეც გიორგი თავის დროზე დისკვალიფიცირებული იყო.

— მსგავს შეცდომას აღარ გავიმეორებ. თუ სპორტი საბოლოოდ გაინმინდება დოპინგისაგან, ეს ყველასთვის კარგი იქნება და ასეთ შემთხვევაში კავკასიელებს დიდი უპირატესობა გვექნება.

— მაშინ, როცა ჩემპიონის კი არა, ბრინჯაოს პრიზიორ დიმასის მისამართით ოვაციები არ ცხრებოდა, თქვენ



REUTERS ათენიდან

# საქართველო ასეა



REUTERS ათენიდან

რას გრძნობდით? — იკითხა ერთმა ჩვენმა კოლეგა ქალბატონმა.

— დიმასი ბრინჯაოს პრიზიორი კი არა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია — გაუსწორა ასანიძემ იმ მშვენიერ ქალბატონს, რითაც დიმასსაც ააბა, რომელიც პრესკონფერენციაზე სკამზე ჩვენი ჩემპიონისკენ გადნავდა და თარჯიმანთა ზურგსუკან ხელი მაგრად ჩამოართვა, რასაც გაძეძვილი დარბაზის ტაშის გრიალი და ქართულად შეძახილი — „ყოჩალო“ მოჰყვა.

ამის მერე სამივე პრიზიორი დოპინგ-კონტროლზე გააქანეს, უურნალისტებმა კი დარბაზის გარეთ ვანო გრიჭუროვი დავიჭირეთ და ვაბურთავეთ, მერე კი სახელდახელო ბლიც-ინტერვიუზე ჯვარედინი კითხვები დავაყარეთ.

— რას გრძნობთ ახლა? — ეკითხება ერთი.

— რას და, საშინელ დაღლას. უფრო სწორედ, მხრებიდან რალაც მძიმე ტვირთის მოხსნას. ზუსტად ასეთივე გრძნობა მქონდა, როცა ბარსელონაში კახი კახიაშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

— ჩინელ აიჟუნ იუანს ბოლო ცდებზე ის 215 კილოგრამი რომ დაეძლია, რა მოხდებოდა? — კითხულობს მეორე.

— ვიცოდით, რომ ჩინელი აკვრაში ძლიერია და ჩვენ ამისათვის მზად ვიყავით. კახიაშვილსაც დაუძლევია 12-კილოგრამიანი ჩამორჩენა. ისე კი, გარანტირებული არაფერი იყო. თავიდან ბრინჯაოს მედალიც კი არ ჩანდა. მეტოქეებს რომ პირველ ცდებზე ხელი არ მოცარვოდათ, სულ სხვაგვარი ბრძოლა წარიმართებოდა. ჩვენი გეგმის მიხედვით, მეტოქეებს არ უნდა გამოვდევნებოდით წონის შეკვეთაში. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და ჩვენმა ფორმულამ გაამართლა.

სხვათა შორის, ბოლო ცდაზე ასანიძეს ბერძნები ძალიან ცუდად მოექცნენ. ყველამ დაინახა, გიორგის გრიფზე ხელი რომ დაუცდა. როცა კულისებში გამოვიდა, ხელი მაჩვენა და სველი ჰქოცდა. თურმე გრიფი დაუსველებიათ.

— მაინც, შეეძლო თუ არა ასანიძეს იმ ორი დაუძლეველი წონის აწევა?

— რა თქმა უნდა, გიორგის იმ 207,5 კილოგრამის დაძლევაც შეეძლო და მანამდე 180-ისაც. გიორგი საამისოდ 100 პროცენტით მზად იყო.

— ათენში გამოგზავრებამდე თქვენც და ასანიძეც თავშეკავებულ პროგნოზებს გამოთქვამდით. მგონი, წარმატების ბოლომდე არც გჯეროდათ.

— დაბეჯითებით იმის თქმა, რომ რომელიმე მედალის მოვიპოვებდით, ძნელი იყო. მე მუდამ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ — გიორგის წონაში 8 თანაბარი ძალის ძალოსანია. რვავეს შეეძლო მედლის მოპოვება, მაგრამ ჯილდო ხომ სულ სამი იყო?

— თუ გახსოვთ, გიორგიმ ბოლოს როდის გეგვახარა წარმატებით?

— სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე. მას მერე იყო ტრავმები, ოპერაციები... ფიცარნაგზე 2003 წლის აპრილამდე არც გამოსულა.

— მაინც, როდის ირწმუნეთ გიორგის ჩემპიონობა?

— როცა ოქროს მედალი ჩამოკიდეს...

ამის მერე თავად ასანიძეც დავიმართოხლეთ:

— გიორგი, შენ თვითონ როდის ირწმუნე, რომ ჩემპიონი გახდებოდი?


— როცა ყველაფერი დამთავრდა.

— შეჯიბრების რომელიმე ეტაპზე ეჭვი ხომ არ შეგეპარა შენს წარმატებაში?

— ვერ ვიტყვი, რომ დარწმუნებული ვიყავი, ჩემპიონობას უთუოდ მოვიპოვებმეთქი, მაგრამ რომელიმე ხარისხის მედალი რომ დამრჩებოდა, ეს კი მჯეროდა.

— საქართველოდან პირველად ვინ დაგირეკა?


— აუ, იმდენი ზარი იყო, რომ ასე უცებ ვერც ვიხსენებ... ისე კი, პირველი საჩხერიდან იყო, თუმცა, ვისგან არ მახსოვს. მიხეილ სააკაშვილმაც მომილოცა, ზურაბ ჟვანიამაც და საერთოდ ყველამ...



ბადრი კობიაშვილი

# ჩინგის უღონო!

## დიმასი საქართველოს ჰიმნით გააჩილა



REUTERS ათენიდან

**სამბზის** ოლიმპიური ჩემპიონის, გაბერძნებული ალბანელი პიროს დიმასის ოქროს ხანა მაინცდამაინც, მისი ქომაგების არმიის თვალწინ დასრულდა. ორწლიანი ტრავმისგან გამომდინარე, დიმიტრი ტურნირის გამო ბევრი დიდი ტურნირის გამოტოვებულმა ქართველმა გიორგი ასანიძემ კი ოთხი წლის წინ სიდნეიში დაკარგული გუშინწინ ათენში მიიღო. ბერძენთა გამაყრებელი გულშემატკივრობის მიუხედავად, მათ ფალავანს აკვრამაც აჯობა, ატაცშიც და ქართულ ყულაბაში მერე ოლიმპიური ოქრო ჩააჩხრიალა.

გიორგი ასანიძისგან ოლიმპიურ მწვერულზე ასვლას ბევრი არც ელოდა. მის შანსებზე საუბრისგან პირადი მწვერთელი ვანო გრიჭორიძე კი თავს იკავებდა. გამოცდილი სპეციალისტი ვარჯიშებზე და ბოლოხანს გამართულ მცირე ტურნირებზე გიორგის დიდ წონასთან შეჭიდებასაც უშლიდა, რისკის გაწევა არაა სასურველი, თან კონკურენტებისთვის ჩვენი ძალის გამოჩენა არ გვინდაო. ამგვარმა ტაქტიკამ ჩვენც შეგაფიქრინა, მაგრამ გუშინ გრიჭორიძის ჩანაფიქრის სიზუსტეში საბოლოოდ დავრწმუნდით. ასანიძემ შეუძლებელი შეძლო.

85 კილოგრამს რამდენიმე თანაბარძალოვანი ფავორიტი ჰყავდა.

მათ შორის ყველაზე მრისხანე პიროს დიმასი გახლდათ, მაგრამ ქართველის მსგავსად, ტრავმამ მასაც გააცდინა გვიანდელი დრო. დიმასს ტრავმებიდან უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა, ბევრად თვალშისაცემი და ყურთასმენის წამლები, ვიდრე თუნდაც მერე ბერძენ გიორგიოს მარკულასს. არადა, ამ 22 წლის ბიჭმა შტანგასთან პირველივე მისვლით დაამტკიცა, რომ მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა მიიჩნეოდნენ თურქი იზეტ ინსე და გაავსტრალიელელებული სომეხი სერგო ჩახოიანი. ამ უკანასკნელმა შეჯიბრის დაწყებამდე ყველაზე მეტი წონა 392,5 კილოგრამი შეუკვთა მაშინ, როცა ასანიძემ და დიმასმა 385 იკმარეს.

პირველ დისციპლინაში, ატაცში ფავორიტებს თურქი ძალოსანი გამოაკლდა. იზეტი პირველივე ცდაზე ყველაზე მძიმე, 175-კილოგრამიან შტანგას შეეჭიდა, თუმცა უშედეგოდ. ვერც მეორე-მესამე ცდებზე ივარგა და აკვრამი გამოსვლის შანსიც დაკარგა. ჩახოიანმა და დიმასმა ატაცი 175 კილოგრამით დაასრულეს. გიორგიმ მათ ორნახევარი კილოგრამით აჯობა და ოქროსკენ პირველი ნაბიჯიც გადადგა.

2,5-კილოგრამიანი ჩამორჩენის

ადმოფხვრა და წინ წასვლა ბერძენმა და ავსტრალიელმა ვერც აკვრამი მოახერხეს. ჩახოიანმა ოქროს მედალზე ფიქრში ბრინჯაოც დაკარგა. 205-კილოგრამიანი შტანგა ბეჭს ერთხელაც ვერც ააცილა და ეს დისციპლინა საბოლოოდ უქულოდ დაასრულა. დიმასმა კი მხოლოდ პირველ ცდაზე გაახარა და არბაზი — 202,5 კილოგრამი აკვრა, ამაზე მეტს ვერაფრით მოერია და ორჯიდის ჯამში B ჯგუფში 380 კილოგრამის მომგროვებელ ბელარუს ანდრეი რიბაკოვსაც ჩამორჩა.


გიორგი ასანიძემ ბერძენთან სხვაობა კიდევ 2,5 კილოგრამით გაზარდა და მესამე ცდაზე 207,5 შეუკვთა, მაგრამ ეს წონა ვეღარ დაძლია.

ჩემპიონობა ისედაც თითქმის ჯიბეში ელო. თითქმის, რადგან ანერვიულებდა კიდევ ერთი ძალოსანი, ჩინელი აიჟუნ იუანი. ატაცში საშუალო შედეგის მაჩვენებელმა იუანმა (167,5 კგ) აკვრა 205-ით დაიწყო და პირველივე ცდაზე იხეირა. მერე კი ტაქტიკურმა შეცდომამ სულაც უშედეგოდ დატოვა. მეორე ცდაზევე 215-ის აკვრა ისურვა, რაც მეყსეულ ოქროს ნიშნავდა. არადა, ჯერ ვერცხლი მაინც რომ გაენადღებინა, მისთვისაც აჯობებდა. ბოლო ნერვიულობა ჩვენთვის მშვიდობით დასრულდა, ჩინელმა ორივე ცდა გააცუდა და ზვიადაურის ოქროს ასანიძისაც მიემატა.

ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს პირველებმა ვანო გრიჭორიძემ, არსენ კასაბიევი და ზურაბ კახაბრიშვილმა მიულოცეს. ცოტა ხანში კი სავარჯიშო დარბაზში ქართული დელეგაციის სხვა წევრებიც გამოჩნდნენ.


დღეს ფიცარნაზე არსენ კასაბიევი ავა. იგი B ჯგუფშია და მედლისთვის მეტროლეგში გარევა ალბათ გაუჭირდება. აქვე ისევ გრიჭორიძის ათენში წასვლამდე ნათქვამს შეგახსენებთ: „არსენი ჯერ 16 წლისაა და ამ ოლიმპიადაზე მისთვის მთავარი გამოცდილებებს მიღებაა, დიდი შედეგების მიღწევას კი სულ მალე დაიწყებს. იგი უნიჭიერესი სპორტსმენია და ამას უახლოეს წლებში დაამტკიცებს.“

ოთარ მალაქაძე



16 წლის არსენ კასაბიევი დღეს პირველად შეეჭიდა ნამდვილ სიმძიმეს

გადარი კაითილანის ფოტო



გადარი კაითილანის ფოტო

# ჩინგის ჩალა გადააფარეს

**კალიანაც** არ გვინდა, „მოდას“ ავეყვით და წესების არცოდნა მოგვეწეროს, მაგრამ სირაქლემის პოზაში როდემდე ვიყავით. იქნებ ძიუდოსტის დავით ქეჭვიშვილის შემთხვევაში ეჭვები ბოლომდე ვერ დავასაბუთოთ, მაგრამ მოკრივე ნიკოლოზ იზორია კი თვალსა და ხელს შუა დაგვიჩაგრეს მსაჯებმა. კრივიში ხომ ყველაზე მეტად მოქმედებს მსაჯების ფაქტორი, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვერთელი თენგიზ მესხაძე მაინც იმედინად გაემგზავრა საბერძნეთში, ოლიმპიადა და ნამუსს მოუხმობენ... ცდებოდა, იზორიას დარტყმებიც კი მის მეტოქეს ფუად ასლანოვს ეწერებოდა, რომელიც აზერბაიჯანელია და კრივის სამსაჯო კომიტეტის თავკაცის თანამემამულე გახლავთ. ესეც დამთხვევაა?

იზორია — ასლანოვის მერვედფი-

ნალური მუშტი-კრივი მართლაც სახანაობრივი გამოდგა. ორივემ შემტევი კრივი არჩია, განსაკუთრებით იზორიამ, რომელიც ახლო ბრძოლაში შედიოდა და თან ისეთი ექსტაზით, რომ სახის დეფარვა ხშირად ავიწყლებოდა. პირველი რაუნდში 5:5, მეორე რაუნდის შემდეგ კი 11:2 ვაგებთ, მესამე ორწუთიანი კი ჩვენებურს პირწმინდად ჩააგდეს და იზორია 6 ქულით ჩამორჩა, ამხელა ჩამორჩენა კი ერთ რაუნდში იშვიათად ბათილდება.


საბოლოოდ — 21:17 და კუპატაძის მსგავსად, იზორიასაც მოსალოდნელზე ადრე დაუმთავრდა ოლიმპიადა. აცრემლებულმა ნიკამ ჯერ ფუად ასლანოვს აგრძნობინა უსამართლო მომიჯნო და მსაჯებსაც სათითაოდ დაუქნია თითი — ნობელის პრემიას იმსახურებო...

ილია ნანოზაშვილი

# დუბინა ახტა, დახტა და საბპალიფიბანოს პერ გადაახტა


**ჩვენებურმა** სამმეტომელმა იულია დუბინამ საკვალიფიკაციო ეტაპზე 16 მონაწილეს შორის მე-15 ადგილი დაიკავა და A ჯგუფში ვერ აინაცვლა. 20 წლის დუბინა პირველ ჯერზე 13,36 მეტრზე გადახტა და საუკეთესო მაჩვენებელიც ეს აღმოაჩნდა, რადგან მომდევნო ორი ცდა აშკარად ჩააგდო — 12,61 და 12,90. შედარებისთვის, A ჯგუფში პირველ ადგილზე გასული ბერძენი ხრისოპოუ დევეცი 15,32 მეტრზე გადახტა.

პრინციპში, გამოუცდელი დუბინასგან ვეფხვისებურ ნახტომებს არც არაფერი ელოდა და იგივეს ვიტყვით თარჯმობრენალ (110 მ) დავით ილარიანზე, რომელიც 24 აგვისტოს ჩართვება საკვალიფიკაციო ეტაპზე ილია ნანოზაშვილი



გადარი კაითილანის ფოტო






# სპორტელები

ქართული  
საბავშვო

ჯაცო, ქვემოთაც ჯაცი,  
ზემოთაც ჯაცი?!




დღე არ გავა,  
ათენიდან თვალბურთა  
ფოტო არ მოვიღეს




ათი წელთა მაინტერესებს,  
გეილ დივერსი ტელეფონზე  
როგორ წყევს

ნეტავ, რას გრძნობს ბურთი?



რომ აგწევს და  
შემოგიგდებს  
მკერდზე...



გრძელ ქალს გრძელი  
ობიექტივი: ამერიკელთა  
ცენტრი ლაიზა ტესტი

Я готов целовать песок,  
по которому ты ходила...





# ATHENS 2004




ქართული ოლიმპიური კომიტეტი

ATHENS 2004

21 აგვისტო

ATHENS 2004

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო



## მკლარსრობა

### ქალები

100 მ

- 1 იულია ნესტერენკო (ბელარუსი) 10,93
- 2 ლორი უილიამსი (აშშ) 10,96
- 3 ვერონიკა კემპბელი (იამაიკა) 10,97

### შვიდწიდი

- 1 კაროლინა კლუფტი (შვედეთი) 6952
- 2 აუსტრა სკუიუტე (ლიტვა) 6435
- 3 კელი სოზერტონი (ბრიტანეთი) 6424

### ბადროს ტყორცა

- 1 ნატალია სადოვა (რუსეთი) 6702
- 2 ანასტასია კელესიდა (საბერძნეთი) 6668
- 3 ირინა იატჩენკო (ბელარუსი) 6617

## სურვა

### კაცები

#### ესტაფეტა 4X100 მ, კომპლექსური

- 1 აშშ 3.30,68
- 2 გერმანია 3.33,62
- 3 იაპონია 3.35,22

#### 1500 მ, თავისუფალი

- 1 გრანტ ჰეკტი (ავსტრალია) 14.43,40
- 2 ლარსენ იენსენი (აშშ) 14.45,29
- 3 დევიდ დევისი (ბრიტანეთი) 14.45,95

### ქალები

#### 4X100 მ, კომპლექსური

- 1 ავსტრალია 3.57,32
- 2 აშშ 3.59,12
- 3 გერმანია 4.00,72

#### 50 მ, თავისუფალი

- 1 ინგე დე ბრეინი (ჰოლანდია) 24,58
- 2 მალია მეტელია (საფრანგეთი) 24,89
- 3 ლიზბეტ ლენტონი (ავსტრალია) 24,91

## კალსრობა

### კაცები

85 კგ

- 1 გიორგი ასანიძე (საქართველო) 382,5 კგ (177,5+205,0)
- 2 ანდრეი რიბაკოვი (ბელარუსი) 380,0 კგ (180,0+200,0)
- 3 პიროს დიმასი (საბერძნეთი) 377,5 კგ (175,0+202,5)

### ქალები

75 კგ

- 1 ტან გონზონი (ჩინეთი) 305,0 კგ (122,5+182,5)
- 2 იან მი ბრანი (სამხრეთ კორეა) 302,5 კგ (130,0+172,5)
- 3 აგატა ვრობელი (პოლონეთი) 290,0 კგ (130,0+160,0)

## ჩოგბურთი

### კაცები

#### წყვილები

- 1 ფერნანდო გონსალესი — ნიკოლა მასუ (ჩილე)
- 2 ნიკოლას კიფერი — რაინერ შუტლერი (გერმანია)
- 3 მარიო ანჩინი — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)

### ქალები

#### ერთეულები

- 1 ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)
- 2 ამელი მორესმო (საფრანგეთი)
- 3 ალისია მოლიკი (ავსტრალია)

## პაპუბი

### კაცები

- 1 იური ნიკიტინი (უკრაინა) 41,50
- 2 ალექსანდრ მოსკალენკო (რუსეთი) 41,29
- 3 ჰენრიკ სტელიკი (გერმანია) 40,80

## ფარიქაობა

### კაცები

#### რაპირა. გუნდური

- 1 იტალია
- 2 ჩინეთი
- 3 რუსეთი

## ველობრაჟი

### კაცები

#### გუნდური სპრინტი

- 1 გერმანია
- 2 იაპონია
- 3 საფრანგეთი

#### ინდივიდუალური გამოდევნება

- 1 ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი)
- 2 ბრედ მაკგი (ავსტრალია)
- 3 სერხი ესკობარი (ესპანეთი)

## ფეხბურთი

### კაცები

#### გუნდური

- 1 სამხრეთ კორეა
- 2 ტაივანი
- 3 უკრაინა

## ბადმინტონი

### კაცები

- 1 ტაიფუკ ხიდაიატი (ინდონეზია)
- 2 შოგენ სეუნგ-მო (სამხრეთ კორეა)
- 3 სონი დვი კუნკორო (ინდონეზია)

### ქალები

#### წყვილები

- 1 ჩინეთი
- 2 ჩინეთი
- 3 სამხრეთ კორეა

## სხენსრობა

### კაცები და ქალები

#### გახედვნა. ინდივიდუალური

- 1 ულა ზალცგებერი (გერმანია)
- 2 ბიატრის ფერე-სალა (ესპანეთი)
- 3 ანკი ვან გრუნსვენი (ჰოლანდია)

#### გახედვნა. გუნდური

- 1 გერმანია
- 2 ესპანეთი
- 3 აშშ

## აფროსრობა

### კაცები

#### ფინი

- 1 ბენ ეინსლი (ბრიტანეთი)
- 2 რაფაელ ტრუხილიო (ესპანეთი)
- 3 მატეუს კუშნერევიჩი (პოლონეთი) 470

- 1 პოლ ფორსტერი-კევინ ბარქემი (აშშ)
- 2 ნიკ როჯერსი-ჯო გლემფილდი (ესპანეთი)
- 3 კასუკო სეკი-კეჯირო ტოდოროკი (იაპონია)

### ქალები

470

- 1 სოფია ბეკატორუ-იამილია ცულუვა (საბერძნეთი)
- 2 ნატალია ვია დუფრანსე-სანდრა აზონი (ესპანეთი)
- 3 ტერეზე ტორგენსონი-ვენდელა ზაპრისონი (შვეიცარია)

## სროლა

### კაცები

#### პისტოლეტი 25 მ.

- 1 რაფა შუმანი (გერმანია)
- 2 სერგეი პოლიაკოვი (რუსეთი)
- 3 სერგეი ალიფირენკო (რუსეთი)

## ნიგროსრობა

### კაცები

#### ოთხგაციანი ცალწიბა

- 1 დიდი ბრიტანეთი
- 2 კანადა
- 3 იტალია

#### ორგაციანი წყვილწიბა

- 1 საფრანგეთი
- 2 სლოვენია
- 3 იტალია

#### ორგაციანი ცალწიბა

- 1 ავსტრალია
- 2 ხორვატია
- 3 სამხრეთ აფრიკა

#### ერთგაციანი ცალწიბა

- 1 ოლაფ ტუფტე (ნორვეგია)
- 2 იური იანსონი (ესტონეთი)
- 3 ივო იანაკიევი (ბულგარეთი)

### ქალები

#### ორქალიანი წყვილწიბა

- 1 ახალი ზელანდია
- 2 გერმანია
- 3 დიდი ბრიტანეთი

#### ერთქალიანი ცალწიბა

- 1 კატრინ რუტშოვ-სტომპოროვსკი (გერმანია)
- 2 ეკატერინა კარსტენ-ხოდოტოვიჩი (ბელარუსი)
- 3 რუმინა ნეიკოვა (ბულგარეთი)

## ვაზიდის ჩოგბურთი

### კაცები

#### წყვილები

- 1 ჩინეთი
- 2 ჰონ კონგი
- 3 დანია



ბებერა პოლანდიელმა ქალბატონმა ინგე დე ბრუნმა თავისი წილი ოქრო ათენშიც მოიგო







საზოგადოებრივი მსახურობა

I დივიზიონი
II ტური
ნიცა 1:1 მარსელი
0:1 პედრუტი (47), 1:1 დიე (62პ)

სუ გაისდით
ხანა ფინალისტი
მონაქო ახალივით განირა

ტანა. დიდელ დეშანის შევირ-
დები აშკარად ვერ იყვნენ იაშ-

კორსიკულ დერბოში ერთი კა-
ციის გაძევება ჩვეულებრივი ამ-

იმ მხრივ, რომ „სენტ ეტიენმა“
და „სტრასბურმა“ ჩემპიონატში

„ოსერმა“ სომოში ჟან პასკალ
მინოს ილბალა გოლით იმარჯვა.

ოსერელმა ბუნავენტურე კა-
ლუმ მეტამეტე წუთზე საამო

„ლილი“ ისე გამალებით უტე-
ვდა „ბორდოს“ კარს მეორე ტა-

„რენმა“ „ნანტი“ ალექსანდრ
ფრუის გოლით დამარცხდა. შვე-

ნიცელმა სერე დიე მალიან გა-
იხარა, ფაბიენ ბარტუს პენალტი

და პირველ ტაიმში ერთხელ „გა-
ყვითლებულს“ მსაჯმა წითელი

ასე-მ, რომელსაც ჩემპიონო-
ბას უწინასწარმეტყველებენ, სამ

დებიუტანტმა „კანმა“ ჩემპი-
ონთა ლიგის ფინალისტი „მო-



„მონაქოს“ ფორვარდი ემანუელ ადემაიორი (№24) ისტრიდან უქულოდ გაისტუმრეს

Table with 3 columns: Player Name, Goals, Assists. Includes players like Lansi, Tsholushu, Marsely, etc.

I დივიზიონი
მე-4 ტური: ნანსი — მონპელიე 1:0;
ამიენი — ბრესტი 1:0; ანჟე — ტრუა

ბელგია

ბელგია
I დივიზიონი. III ტური
გავერანი 0:1 ანდორლსტი
0:1 მ. გენა (55)
გენტი 2:1 მონსი

ფინეთი

ფინეთი
XXI ტური. შიგ — ალიანსი 0:1; ტუ 47 —
პაკა 1:1; პამენლინა — ლაპტი 0:2; ინტერი

ჩეხეთი

ჩეხეთი
გამბრინდუსლიზა
ტური. ლიბერეცი — პრეზბორგი 2:0;
სპარტა — ოპავა 5:1; სოვა — სლავია

ნორვეგია

ნორვეგია
ტიკაჰელიზა
XVII ტური. რუსენორგი — ტროსიო 3:0;
ბოდიო გლიმტი — სტაბეკი 3:1;

უგანდა

უგანდა
VI ტური. რაზალი — მანუატი 1:1;
არაჟი — კანგ ბოთოი 1:1; კნასკოტო

თურქეთი

თურქეთი
სუპერლიგა
III ტური. ისთანბული — ფენერბაჰჩე
0:3; გენჩლიერი — ანკარა 1:1; მალათია

უგანდა

უგანდა
ალსპენსკა
XVII ტური. იორგრიტე — იურგორდენი
0:1; შამარბი — გიოტებორგი 1:2;

პოლონეთი

პოლონეთი
I ლიგა
ტური. პოლონია — ლეხია 3:1; კატოვიცე
— ვისლა 0:3; ამიცი — გურნიკი 1:1;

ავსტრია

ავსტრია
პაქსპუნდუსლიგა
VI ტური. ტიროლი — შტურმი 2:1;
გრაციერი — პანონი 2:1; რაბიცი —



# შეხვედრა!

**იტალია**  
იტალიის სუპერთასი

მილანი 3:0 ლაციო

1:0, 2:0, 3:0 შევჩვენო (35, 44, 77)  
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, სტამპი, მალდინი, გატუზო, რუი კოშტა, ამბროზინი (დორასო 77), კაკა, შევჩენო, ტომასონი (კრესპო 75, სერუინი 82)  
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი  
ლაციო: პერუჯი, ოდო, ნეგრო, კოუტუ (სანიბალე 77), ძაური, ლოპესი, დაბო, ჯანიკუდა (კორსი 88), ლივურანი, სესარი (დი კანო 56), მუცი  
მწვრთნელი: დომენიკო კაზო  
მსაჯე: კოლინა

„მილანმა“ იტალიის სუპერთასი ანდრეი შევჩენკოს პეტორიკით მოიგო. უკრაინელის სამგოლს „ლაციო“ ვერაფრით უპასუხა — ასე გაიმართა ნახევარკუნძულზე ახალი სეზონის პირველი ოფიციალური თამაში. თუ გახსოვთ, მისი ჩატარება თავიდან ლიბიაში უნდოდათ, მაგრამ უსაფრთხოების საკითხებმა დააეჭვათ და „სან სიროზე“ გადაიტანეს. ამრიგად, „შავ-წითლები“ იტალიის სუპერთასის ორგანიზაციის მფლობელები გახდნენ. პირველად მათ 1994 წელს გაიმარჯვეს ასეთსაკვე შეხვედრაში, მაშინ „სამპდორიას“ აჯობეს, სულ კი სუპერთასისთვის რვაჯერ უთამაშიათ.

„ლაციოსთან“ მატჩი საინტერესო იყო, როგორც პოლანდიელი მცველის, იაბ სტამპის დებიუტი მით უფრო, რომ სტამპი თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ გამოდიოდა. „მილანში“ სტამპის გამოჩენამ პაოლო მალდინის მარცხნივ, კახა კალაძის ადგილზე გადაწევა გამოიწვია ანუ პირდაპირ რომ ვთქვათ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართველმა მცველმა (ჯერ-ჯერობით მაინც) ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ოლიმპიადაზე წასული ანდრეა პირლოს ადგილი პორტუგალიელმა რუი კოშტამ დაიკავა, რაც შეიძლება იძულებით, მაგრამ მაინც ექსპერიმენტად მივიჩნიოთ.

რომაელთა მხრიდან ეს გახლდათ მწვრთნელის, მიმო კახოს დებიუტი, რომელმაც „ბარსელონადან“ რამდენიმე დღის შეძენილი ოსკარ ლოპესი პირდაპირ ბრძოლაში ჩართო.

შეხვედრაში პირველი სახიფათო მომენტი „ლაციომ“ შექმნა, როდესაც სეზარს მილანელ მცველთა შეცდომამ საჯარიმოში შევარდნის საშუალება მისცა, მაგრამ პაოლო მალდინიმ იყოჩაღა და სეზარს ლუჩანო ძაურისკენ არ ჩააწოდებინა. შემდეგ „შავ-წითელთა“ მეკარე დიდამ მოიგერია ოსმან დაბოს დარტყმული.

თამაშის პირველი ნაწილის ყველაზე სახიფათო მომენტი კი მოულოდნელ „თავდასხმელს“ მალდინის ხვდა წილად, როდესაც მას შევჩენკოს მისამართით გადაწოდებული პასი ჩაუჭრეს და აბიტომ შეტევის გაგრძელება პირადად სცადა — მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა.

ანგარიში კი 35-ე წუთზე გაიხსნა. მასიმო ამბროზინიმ ჩინებულად დაუგორა შევჩენკოს, რომელმაც ბურთი მეკარე ანჯელო პერუჯის კარში შეაგდო.

ტაიმის მიწურულს ისევ შევჩენკომ დარტყა შედეგიანად — ხელმეორედ დაბადებულმა პაოლო მალდინიმ შევას თავზე დაასკუპა ბურთი.

მეორე ტაიმი „მილანმა“ ისევ დაიწყო, როგორც პირველი დაასრულა, კერძოდ უტევედა. კაფუმ და შევჩენკომ იმთავითვე

დარტყეს კიდევ სახიფათოდ. 56-ე წუთზე „ლაციოს“ შემადგენლობაში პაოლო დი კანო გამოჩნდა, თუცა რომაელებს ძირითადად მაინც თავის დაცვა უწევდათ.

მესამე გოლი შევჩენკომ 77-ე წუთზე, ძალიან ლამაზად გაიტანა. მასიმო ამბროზინის მცდელობა ბურთის ჰაერში ასხლვით დასრულდა და უკრაინელმაც წამით არ იყოყმანა, გაუჩერებლად გაუშვა ბურთი მაღალ კუთხეში.

„მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ამ ზაფხულს კარგად დავისვენე — ღიმილით განაცხადა მატჩის შემდეგ უკრაინელმა, — გარდა ამისა, ამერიკაში გეჭონდა ჩინებული ტური. სუპერთასის მოპოვებამ ძალიან გამახარა“.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა შევჩენკოსთვის შავ-წითელი მაისურით 750-ე გახლდათ.

„დღეს მალდინი იყო დიდებული, — განაგრძო თავდასხმელმა, — ნამდვილად ვერ შეამჩნივდა, რომ ბოლო წლებში მარცხენა მცველად აღარ თამაშობდა. „ლაციო“ კი, მიუხედავად ფეხბურთელების გაყიდვისა, ჩინებული გუნდი ყოფილა, ბრწყინვალე გუნდური სულისკვეთებით 60 წუთი მათ ჩინებულად ითამაშეს“.

შემდეგ კი პეტორიკის ავტორმა მომავალზე ისაუბრა: „ჩვენ ორი საუცხოო სეზონი გეჭონდა, მაგრამ ვფიქრობ წლებულს მეტი შეგვიძლია კარგად დაწყებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა, სუპერთასის მოპოვების შემდეგ სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი დაგვრჩა“.

აკაუნა კილია



დავიდ ტრეზეგე

## გაბის უპილი და ბიძის კეის უპილი

სადა ხარ ჩვენო ალექსო...

„იუვენტუსმა“ ამ კვირაში შვედეთში უნდა მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაში გაინადლებს ადგილს. „შავ-თეთრების“ ფრანგი თავდასხმელი დავიდ ტრეზეგე ამაში დარწმუნებულია. „ჩვენ არაფრის გვეშინია, — არწმუნებს ტრეზეგე ქომაგებს „იურგორდენთან“ პირველ მატჩში ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ, — გუნდი საკმაოდ გამოცდილია საიმისოდ, რომ შეჯიბრებაში სულ წინ და წინ იაროს. ჩვენ ლიგაში მოვხვდებით“.

ზოგადად, მიმოძიებულები ამბობენ, რომ ზაფხულის განმავლობაში „ბებერი ქალბატონი“ ბევრით ვერაფრით გამოირჩეოდა, დაცვაშიც შეცდომებს უშვებდა და გოლებიც კანტიკუნტად გაჰქონდა, რასაც კაპიტნის, ალექსანდრო დელ პეროს ცუდი ფორმა გასდევდა ლაიტმოტივად.

„10 აგვისტოს შემდეგ ძალიან მონდობებულნი ვართ, ბევრი ვიმუშავეთ და დღეს სწორედ რომ ზედგამოჭრილ ფიზიკურ ფორმაში ვიმყოფებით, — დასძინა ტრეზეგემ, — რაც შეეხება ალექსს, მე მისი ქომაგი ვახლავართ და საკუთარი თვლით ვხედავ როგორ ვარჯიშობს მდგომარეობის გამოსასწორებლად ვფიქრობ შედეგით გადაწყვეტ როლს სწორედ დელ პერო ითამაშებს“.

თუ ვერ მოიგებს, „იუვენტუსმა“ ბევრგოლიანი ფრე მაინც უნდა ითამაშოს, — 3:3 და ზევით, — რათა „იურგორდენი“ ჩამოიტოვოს.

„პირველ მატჩი ძალიან უცნაურად წარიმართა, — თქვა ფრანგმა, — ჩვენს დამოკიდებულებაში რაღაც თავიდან ბოლომდე მცდარი იყო, მაგრამ ასეთი რამ აღარ განმეორდება“.

სავარაუდოდ, საპასუხო თამაშისთვის „ბებერი ქალბატონს“ ჩეხი ვარსკლავი, პაველ ნედვედი შეემატება, ფაბრიციო მიკოლიმ კი რამდენიმე

დღის წინ, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, ისლანდიელებთან შეხვედრაში მოაწონა თავი საზოგადოებას. ნედვედი, მოგეხსენებათ, ვერო 2004-ის ნახევარფინალში, ბერძნებთან შეხვედრისას დაშვდა და მას შემდეგ „შაბათსადა ითამაშა. „იუვენს“ ამხანაგურ მატჩში ერთი ტაიმი. ეს გახლდათ მატჩი „ბენეტონთა“, რომელშიც „ბებერმა ქალბატონმა“ 5:0 მოიგო, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ის, რომ თამაშს კლუბის მეპატრონეთა, ანტიუბს ოჯახის წარმომადგენელი ანდრეა ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ თუ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გადაყვანას არ ჩავთვლით ამ ზაფხულს „შავ-თეთრებს“ სატრანსფერო ბაზარზე თავი არაფრით გამოუჩენიათ და ეს ქომაგებმა კლუბისა და მეპატრონეების დაცვლად მიიჩნიეს.

„მამაჩემი უმბერტო და ბიძაჩემი ჯანი „იუვენსთან“ ყოველთვის ახლოს იყვნენ, — განმარტა ანდრეა ანიელი, — ეს კლუბი ჩვენი ოჯახის გენეტიკური ნაწილივით არის და მეც გავაგრძელებ მათ ტრადიციებს“.

ამის შემდეგ უმცროსმა ანიელიმ, რომელიც ეჭვია, რომ მაინც არ არის მამისა და ბიძის გვერდით დასაყვენებელი ფეხბურთეც ილაპარაკა:

„იურგორდენს“ დიდ პატივს ვცემო, მაგრამ მათთან შეხვედრაში ჩვენი პოტენციული სრულად უნდა გამოვაძვინდოთ. იმედია, შედეგით ნედვედი ჩვეულებისამებრ დიდი თავგანწირვით ითამაშებს. რაც შეეხება დელ პეროს, ის განსაკუთრებული ადამიანია და მწამს როგორც არასდროს ისე ათამაშდება. სატრანსფერო კამპანით კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, სერია A-ში არავის ჩამოუვარდებათ“.

აკაუნა კილია



10 მეგრულაძე (5), 11 კაკალაძე (10)	
<b>ტორპედო:</b> სტურუა, მემარნიშვილი, ებრაძე, გამყარაშვილი, ს. თოდუა, ნერგაძე, კოსტაძე (რევაზიშვილი 86), ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი, მეგრულაძე (მუმლაძე 67) <b>სათადარიგო:</b> გ. გაბელია, ადუაშვილი, დარსაძე, ნ. ნადირაძე, ლალაძე <b>მწვრთნელი:</b> ოთარ გაბელია	<b>დინამო:</b> ზოიძე, ჭიჭვიშვილი, სალუქვაძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, გ. ნემსაძე, კანკავა (გრიგალაშვილი 86), ბურდული, კ. ალადაშვილი (გონჩაროვი 64), კაკალაძე (რომერო 79), მელქაძე <b>სათადარიგო:</b> მამალაძე, დგალი, კაშია, ხმალაძე <b>მწვრთნელი:</b> გია გვგუჩიაძე
გაწვრთნელი: ბურდული (53), ბაბუნაშვილი (71)	
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენტუშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი)	
სფზ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: გ. დარსაძე	

# მეგრულაძემ ტორპედო დაჭრა და აჭრა

## პას პალაშვილიძე ქუთაისიდან

ქუთაისში თამაში ყოველთვის ძნელია, აქ ნებისმიერ გუნდს უჭირს — განაცხადა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე „დინამოს“ თავკაცმა გია გვგუჩიაძემ და საბაბი არ გვაქვს, მის სიტყვებში ეჭვი შევიტანოთ. გვგუჩიაძემ ყოველთვის კარგად იცის, რასაც ამბობს და ასე იყო შაბათსაც.

საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე თვალსაჩინო თამაშს, „ტორპედო“ — „დინამოს“ კარგი დარი დაუდგა. სიცხე კი უშლიდა ხელს ფეხბურთელებს, მაგრამ ამას თამაშისთვის დადი არ დაუსვამს. მატჩი პირველივე წუთებიდან დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ერთადერთი, რამაც ქუთაისელი მაყურებელი გააღიზიანა, ბოლო წუთებში დინამოელთა უპირატესობის უწყვეტი ზრდა იყო, თუმცა ამის მიზეზი ყველამ იცის — „ტორპედოს“ სეზონის წინ ერთი შეკრებაც არ გაუკვლია.

თბილისელებს მალე უეფას თასის მატჩი ელით პრადის „სლავაისთან“ და ქუთაისში მათი თამაშის ხარისხი ამაღაც იყო საინტერესო. გვგუჩიაძემ ოპტიმალური შემადგენლობა ჩაიყვანა იმერეთში, თუმცა წუ-

ლმტკივანი შოთა კაშია კი მოისაკლეს. აღარაფერს ვამბობ ლადო ახალიაზე, რომელიც უკვე კარგა ხანია, „დინამოს“ ვერ ეხმარება.

„დინამოს“ ძალას ქუთაისელი გულშემატკივრებიც აღიარებდნენ და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა უმეტესობა ფრეზეც ყაბულს იყო, მაგრამ...

„ტორპედოს“ ჰყავს გია მეგრულაძე. კაცი, რომელმაც ქომაგს მოგების იმედი ჩაუსახა. თავდასხმელი, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მოძრაობს და მეტოქე მცველებს მოსვენებას არ აძლევს. სწორედ მეგრულაძემ გაუტანა „დინამოს“ ულამაზესი გოლი და თავისიანები დააწინაურა. ეს ამბავი მე-5 წუთზე მოხდა, როცა მეგრულაძემ ბოლქვაძისგან მიიღო ბურთი — ოღონდ არ გვენოთ, პასი „დალეჭილი“ იყო — გიამ დავით ჭიჭვიშვილთან ბრძოლაში ჩამოიღო ბურთი, შემოტრიალებსას კორპუსით მცველიც მოიშორა და მარჯვენა ფეხით ულამაზესი გოლი გაიტანა — 1:0.

გოლი, სიხარული, ეიფორია — ეს ყველაფერი „დინამომ“ ხუთ წუთში გაქეთა. აზარტში შესულ მასპინძლებს ზურგი მოუშინებლად და

საქართველოს ჩემპიონატი **შედეგი 16** **ლიგა 4 ტურში**



გია მეგრულაძის გოლი მართლაც ლამაზი იყო, ირაკლი ზოიძის ნახტომი კი ამაო

ლაღო ბურდული გაეპარათ. მისი განივი პასი მიხეილ კაკალაძემ ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა, თუმცა უსამართლო ვიქნები, მცველის ოდნავი რეკონსტრუქციაც რომ არ აღვნიშნო. ეს იყო და, თამაში გათანაბრდა. ხან „ტორპედო“ უტევედა, ხან „დინამო“ იჩხვლიტებოდა. მალე კი მაყურებელს გასართობიც მიეცა — მოედანზე ჯესიკა შევარდა, ფეხბურთელებს ბურთი წაართვა და ხან ერთი კარისკენ გააქანა, ხან მეორისკენ. თან ბურთს ცოცხალი თავით არავის აკარებდა. თუ ვერ გამოიციან, გეტყვით, რომ ჯესიკა ძალაა.

ერთი სიტყვით, სიცილი-ხორხორი ჯესიკას მოედნიდან გაყვანით დასრულდა. სტადიონის მომსახურემაც ხალხი დააიმედა, ძალღი თთანში ბოქლომით ჩაკეტილ და აწი ფეხბურთის ცქერაში ხელი არ შეგეშლებათო.

კეთილი. ფეხბურთიც გაგრძელდა და... მეგრულაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა — თითქოს მისი მოტყუებაც არაა ძნელი საქმე, მაგრამ გიამ დარტყმა ამჯობინა, ბურთი ირაკლი ზოიძის თითებს შეეხზა, იარა, იარა და... ძელს მოხვდა. სტადიონმა ამოიგმინა, გაწბი-

ლებული მეგრულაძე კი მოცულივით განერთხო ბალახზე. მეორე ტაიმი „დინამოს“ უპირატესობით დაიწყო. კახა ალადაშვილს, გიორგი ნემსაძესა და ჯაბა კანკავას მალევე შეეძლოთ მასპინძელთა დაშამთება, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს.


ნაე წუთზე კი კანკავა და ლევან მელქაძე დარჩნენ მეკარის წინ, მაგრამ ჯაბას პასი არ გამოუვიდა. უფრო ზუსტად, ახალგაზრდა ნახევარმცველმა ვერ გადაწყვიტა, კარში დაერტყა თუ თანაგუნდელი სთვის გადაეწოდებინა ბურთი. ერთი სიტყვით, ეს შეტევა უგოლო გამოდგა და „დინამო“ კინაღამ დაისაჯა: შოთა ბაბუნაშვილის შორეული პასით გააა ჩხეტიანი შევიდა საჯარიმოში, მცველს ფეხდაფეხ აცალა ბურთი და პირისპირ შეყრილ ზოიძეს გაარტყა.

გახსოვთ, ზემოთ რომ ვითხარით, ძალი ოთანში ბოქლომით ჩაკეტესო? ჰოდა, ისე მოხდა, რომ ჯესიკას გულმა მანაც მოედნისკენ გაუწია, რაღაც მანქანებში „ცხრაკლიტული“ გააღო და... ჯესიკა კვლავ მოედანზეა თავისი შესანიშნავი ფინტებით! ადამიანის ოთხფეხა მეგობარმა ფეხბურთელებთან მეგობრობა არ ისურვა, ბურთი გასტაცა და წავიდა, რა წავიდა. ხალხმაც ჟონგლიორი ჯესიკა ტაშით დააჯილდოვა, თუმცა მერე „ნაღლი ფეხბურთი“ მოენატრა და „ჩამკეტავი“ კაცი საყვედურებით აივსო, ესაა შენი დაბმული ძალიო? ზოგმა კი ხერხი მოიგონა, ეგ ძალი ჩვენს კართან დავაბათ და გოლს არ გავუშვებთო.


მალე „ტორპედო“ „დაიჭრა“. მეგრულაძემ ტრავმა მიიღო და დაიწყო: „გია, შეგიძლია?“, „გია, გაუძელი“, „არ მიგვატოვო“, „მიდი, გია!“ — ასეთი შეძახილებით ამხნეებდნენ მწვრთნელები და გულშემატკივრები ექიმების ხელში ჩავარდნილ ფავორიტ ფორვარდს.

მეგრულაძე მოედანზე დაბრუნდა, ხალხმაც ამოიხუნთქა, მაგრამ... ფეხმა არ გაუშვა. ოთარ გაბელიასაც იძულებითი შეცვლის გაკეთება მოუხდა — თამაშში შალვა მუმლაძე ჩართო.

აქედან მოყოლებული, „დინამოს“ ბურთისთვის ფეხი არ მოუცილებია. თბილისელები შმაგად მიიწევდნენ ფრთამოტეხილი მასპინძლების კარისკენ. „ტორპედო“ დაილა, მაგრამ ბაბუნაშვილის თამაშობით ყველამ თავდაუზოგავად იბრძოლა. „ტორპედო“ უკვე ფრეზე თამაშობდა და საბოლოოდ ასეც მოხდა — 1:1.



**გია გვგუჩიაძე:** „ერთული თამაში იყო. ორივე გუნდს შეეძლო მოგება, მაგრამ მომენტები გამოუყენებელი დარჩა. ვერ ვიტყვი, რომ ეს თამაში ჩვენთვის გენერალური რეპეტიცია იყო. „სლავაისთან“ შეხვედრამდე რამდენიმე დღე დაგვიჩა და ვერ კიდევ ბევრი რამ მაქვს მოსაფიქრებელი-დასალაგებელი“.



**ოთარ გაბელია:** „კლასით და მომზადებით „დინამო“ აშკარად გეჯობს. შედეგით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ყველაფერი გაკეთეს, რაც შეეძლოთ და ასე ბრძოლით მოპოვებული ქულა ყოველთვის ფასობს. მეტოქეს ფიზიკურად რომ ვერ ვაჯობებდით, ისედაც ვიცოდი. შეიძლება იკითხოთ, ეს კაცი სულ მსაჯობაზე როგორ წუწუნებსო, მაგრამ ფაქტია — მიზეზები დღესაც მქონდა. „დინამოს“ კი „სლავაისთან“ წარმატებებს ვუსურვებ“.



ტორპედოელთა სიხარული ამ გოლმა გააქარწყლა



თბილისი 4:1 დილა

Table with 4 columns: Goalscorers (თბილისი, დილა), Assists (მეზობელი), Cards (მოწვევა), and Referee (საფრთხილი). Includes names like ლომიძე, ხოჯავეა, ნადირაძე, გაბლაია and numbers.



ყაყვი მიქაძის ფეფტური, მაგრამ არაზუსტი დარტყმა

გორმა თბილისი პარეაპაუზი გააცლია

თავისი მაინც გაიტანა და ეს საკმაოდ ლამაზადაც გააკეთა. ხოჯავამ ბურთი მკერდით შეიგდო და ილურიძეს მარცხენა კუთხეში ჩაუსვა. მეორე ტაიმიც თბილისელების იყო. მათ მეტოქეს უფრო ძლიერად მოუჭირეს მარწუხები. მიქაძემ და ჭელიძემ მიზანთან ახლოსაც იყვნენ, მაგრამ 66-ე წუთზე „თბილისის“ გარჯა დაუფასდა. ოდიკაძე-ჭელიძემ კედელი გაითამაშეს, ილურიძესთან ოდიკაძე დარჩა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. 75-ე წუთზე ჭელიძემ ცენტრიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ ბურთი კარს სანტიმეტრებით ასცადა. ამის შემდეგ ფიფიაძე ხუთი მეტრიდან ვერ დაამწურა გორელები. სამხარაძემ მატჩს წერტილი საჯარიმოდ დარტყმისგან დაუსვა. 23 მეტრიდან მარჯვენა კუთხეში ისე დაარტყა, რომ გორელთა

მეკარემ თვალიდა გააყოლა. „ბუნებრივია, „ლეგია“ და „დილა“ სხვადასხვა დონეა და მათი შედარება შეუძლებელიცაა. თუმცა კარგია, რომ პოლონეთში მოგებულები მივდივართ. ქართველი ოლიმპიელების ვაჟკაცობამ კარგი მაგალითი მოგვცა და ახლა ჩვენნი ვერა. ვარშაშე საბრძოლველად მივდივართ. თანაც გუნდმა ძალების აღდგენაც მოასწრო და საკმაოდ კარგ ფიზიკურ კონდიციებში ვიქნებით. პოლონეთში გოგუასა და ელიაგას გამოყენების შანსიც გვექნება და ეს ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს“ — გვითხრა გორელი დედადარიანი. მატჩს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესიცი ესწრებოდა. ფრანგი მალიმალ კითხულობდა და ინიშნავდა გამორჩეულ თბილისელებს, მანამდე კი ეს გვითხრა: „ორი დღის წინ კიდევ ერთხელ

ეუყურე მოლდოვაში გამართული თამაშის ფირს და დავრწმუნდი, მოგების არანაირი შანსი არ გვექონია. უბრალოდ მსაჯები ამას არ დაუშვებდნენ. შეიძლება, ზუსტად შევიდევ, არარსებული თამაშგარე დააფიქსირეს, ამას ბრმაც შეამჩნევდა. სხვა ნებისმიერი მსაჯი არც ერთს თამაშგარე არ ჩავკითვლიდა“.

Table with 2 columns: Team Name and Statistics (Goals, Assists, Cards, etc.). Includes teams like დინამო, ტორპედო, თბილისი, ვიტ ჯორჯია, ლოკომოტივი, ბათუმი, კოლხეთი, სიონი, დილა, ზესტაფონი.

ლოკომოტივი 4:0 სიონი

Table with 4 columns: Goalscorers (ლოკომოტივი, სიონი), Assists (მეზობელი), Cards (მოწვევა), and Referee (საფრთხილი). Includes names like გვარამია, ონიანი, ლომიძე, ხოჯავეა, ნადირაძე, გაბლაია.

უკეთ შეძლება თამაში. ამ პოზიციასზე გაცილებით მომეწონა“. „ლოკომოტივმა“ სტუმრებს პირველი გოლი 28-ე წუთზე გაუტანა. ჩხაიძემ გამოზომილი პასით ონიანი ბოლომდე მიიტანა და ბოლომდეც გაიტანა. ამის მერე კი ბობოხიძის ბენეფისი დაიწყო. „დინამოდან“ გაშვებულს ფეხბურთი და გოლები მართლაც მოსწვრივობა. 42-ე წუთზე „ლოკომოტივის“ სამეულმა, ლაცაბიძე-ქებაძე-ბობოხიძემ სამაგალიტო კომბინაცია გაითამაშა, რომელიც ბობოხიძემ ბურთისთვის ჭვინტის მიკერით დაასრულა. ბობოხიძემ კიდევ ორი გოლი პირველი ტაიმის ბოლო და მეორე ტაიმის საწყის წუთებზე გაიტანა. ჯერ ისევ ქებაძეს დაუფასა ზუსტი პასი, მეორედ კი საჯარიმოსთან კობაურს გასცა და 17 მეტრიდან აუღებელი დაარტყა. „ლოკომოტივს“ ამის შემდეგაც შეეძლო გატანა, ბარბაქაძე კი ვაღებულები იყო, მაგრამ ეფეტურობას დაზარბდა და ბურთი ძელს გაარტყა. „სიონმა“ გვარამაძე 78-ე წუთზე გადაახტუნა კლასიკოსის გასროლილი ჯვარიდან. „ლოკომოტივის“ კარის დარჯვმა ბოლომდე არა და არ გაატანინა ევრეტ წოდებული პრესტიჟის გოლი. „ლოკომოტივი“ თამაშიდან თამაშიდან უმატებს და იმასაც ამბობენ, რომ მალე ეს გუნდი სოლიდურ შესებასაც მიიღებს. ასე რომ, ჩემპიონობის პრეტენდენტი თბილისური სამეული შეიძლება ოთხეულად იქცეს.

Table with 2 columns: League Name and Statistics (Goals, Assists, Cards, etc.). Includes leagues like უნგროეთი, ნობი III ტური, დიონავი 0:2 დავრეცენი, კელვია, პირველი დივიზიონი III ტური, ბიანი 2:1 ლოკომოტივი, ავსტრია, მასპანდელსლიგა V ტური, პრემიერლიგა 0:9 აუსტრია, უმპიციარია, ჩელენჯლიგა IV ტური, იუვენტუსი 2:2 პიასო, უგადეთი, სუპერლიგა XXI ტური, ინფორმაციები 0:0 გოლიანი, იოსტონი 0:0 ბიანი, ფრიულუნდა 2:3 მარაბა, ატილიანი 6:0 ბრაზა.

Table with 2 columns: League Name and Statistics (Goals, Assists, Cards, etc.). Includes leagues like ნორვეგია, ტიპალიგა XVIII ტური, ბრანი 2:1 სონდალი, პირველი დივიზიონი XIX ტური, პიონი 3:2 კონსტანცია, მანდალი 3:2 ალესუნდი, პრეს ბრანდანი 2:3 ჰაუგსუნდი, რაუფონი 1:3 სტარტი, სანდვიორდი 1:0 ოფსი, სტრიუმსგოდსთი 1:2 სკიდი, ტრომსდალენი 0:2 ჰიონანდონი, ვარდ ჰაუგსუნდი 2:0 ბრინი, სლოვაკეთი, პირველი ლიგა IV ტური, პიტრშალკა 2:1 ბისტრიცა, პოლონეთი, პირველი ლიგა III ტური, ლეგია 0:0 ზაგლეზა.

გობოხიძე გონი ხეით

მაგრამ ანგარიში 3:0 გახდა, მცირერიცხოვან ბოლინსელ ქომავთა ჯგუფს ორი გამოეყო და — ეს რა ფეხბურთელები მოიყვანეთ, რას გვანან, ბოლინსელი ბიჭები სკამზე რატომ დასვიეთ — იყვირეს. შეხედრა „სიონმა“ აქტიურად დაიწყო, მაგრამ ძალიან 25 წუთი ეყო და ამის შემდეგ დადგა. თამაში კი „ლოკომოტივმა“ და ბობოხიძემ გააგრძელეს. მიხეილმა ჰეთ თრიკი და ერთმანეთზე ლამაზი გოლები გაახერხა. გაამართლა გაგუას უკან დაწევამ, მან, ფაქტობრივად, ყველა საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ სასარგებლოდ იმოქმედა. აქვე ზაურ სვანაძის ნამატრევის ნათქვამსაც მოვიშველიებთ: „გაგუა მიმტკიცებდა, თავდასხმელი ვარო, მაგრამ თურმე უკნიდან

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ულოცავს ქართველ ძალოსან გიორგი ასანიძეს ათენის ოლიმპიადებზე მოპოვებულ ოქროს მედალს. ეს ორი და სხვა მრავალი!



# ATHENS 2004



22 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004



### მკლავსრობა

**კაცები**  
100 მ.

1 ჯასტინ გალტინი (აშშ) 9,85 58  
2 ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია) 9,86  
3 მორი გრინი (აშშ) 9,87

**უროს ტყორცნა**

1 ადრიან ანუსი (უნგრეთი) 83,19 8  
2 კოჯი მურიფუში (იაპონია) 82,91  
3 ივან ტიხონი (ბელარუსი) 79,81

**სამსტომი**

1 კრისტინ ოლსონი (შვედეთი) 17,79 8  
2 მარიან ოპრეა (რუმინეთი) 17,55  
3 დანილა ბურკენია (რუსეთი) 17,48

**სიმაღლეზე სტომა**

1 შტეფან ჰოლმი (შვედეთი) 2,36 8  
2 მეტ ჰემინგუეი (აშშ) 2,34  
3 იაროსლავ ბაბა (ჩეხეთი) 2,34

**ქალები**  
მარათონი

1 მიზუკი ნოგუჩი (იაპონია) 2 სთ, 26 წთ, 20 წმ  
2 კატერინ ნდერეზა (კენია) 2:26:32  
3 დენა კასტორი (აშშ) 2:27:20

### ჩოგბურთი

**კაცები**  
ერთეულები

1 ნიკოლას მასუ (ჩილე)  
2 მერდი ფიში (აშშ)  
3 ფერნანდო გონსალესი (ჩილე)

**ქალები**  
წყვილები

1 ტინგ ლი-ტიან ტიან სუნი (ჩინეთი)  
2 კონჩიტა მარტინესი-ვირჯინია რუანო პასკუილი (ესპანეთი)  
3 პაოლა სუარესი-პატრისია ტარაზინი (არგენტინა)


**მამაკაცების ჩოგბურთი**  
ქალები

ერთეულები

1 ინინ ჟანი (ჩინეთი)  
2 ჰიან მი კიმი (ჩრდ. კორეა)  
3 კიუნ ა კიმი (ს. კორეა)

### მედიების ღირებულება

	ო	3	ბ	სულ
1 ჩინეთი	22	14	10	46
2 აშშ	21	21	15	57
3 იაპონია	13	16	7	26
4 ავსტრალია	12	8	12	32
5 გერმანია	10	9	12	31
6 საფრანგეთი	8	8	7	23
7 რუსეთი	7	13	16	36
8 იტალია	7	6	7	20
9 რუმინეთი	6	3	2	11
10 უკრაინა	6	2	5	13
11 ს. კორეა	5	10	5	20
12 დიდი ბრიტანეთი	5	7	7	19
13 საბერძნეთი	4	1	3	8
14 პოლანდია	3	6	8	17
15 უნგრეთი	3	4	1	8
16 შვედეთი	3	0	1	4
16 თურქეთი	3	0	1	4
18 ბელარუსი	2	3	6	11
19 პოლონეთი	2	2	3	7
20 სლოვაკეთი	2	2	1	5
21 საქართველო	2	1	0	3
22 ტაილანდი	2	0	2	4
23 ჩილე	2	0	1	3
24 ახალი ზელანდია	2	0	0	2
24 ნორვეგია	2	0	0	2
26 კანადა	1	2	1	4
27 ბულგარეთი	1	1	5	7
28 ინდონეზია	1	1	2	4
28 სამხრეთ აფრიკა	1	1	2	4
30 ზიმბაბვე	1	1	1	3
31 ეთიოპია	1	1	0	2
32 დანია	1	0	5	6
33 ბრაზილია	1	0	2	3
33 ბელგია	1	0	2	3
35 შვეიცარია	1	0	1	2
36 საამიროები	1	0	0	1
37 ესპანეთი	0	6	1	7
38 ავსტრია	0	4	1	5
39 ჩეხეთი	0	3	3	6
40 ჩრდ. კორეა	0	3	1	4
41 კუბა	0	2	6	8
42 ხორვატია	0	2	2	4
43 პორტუგალია	0	2	0	2
44 სლოვენია	0	1	2	3
45 ტაივანი	0	1	1	2
45 ესტონეთი	0	1	1	2
47 ფინეთი	0	1	0	1
47 ჰონკონგი	0	1	0	1
47 სერბეთ-ჩერნიგორია	0	1	0	1
47 ყაზახეთი	0	1	0	1
47 ინდოეთი	0	1	0	1
47 კენია	0	1	0	1
47 ლიტვა	0	1	0	1
54 აზერბაიჯანი	0	0	2	2
54 არგენტინა	0	0	2	2
56 კოლუმბია	0	0	1	1
56 იამაიკა	0	0	1	1
56 მონღოლეთი	0	0	1	1
56 ისრაელი	0	0	1	1
56 ტრინიდადი და ტობაგო	0	0	1	1
56 ერიტრეა	0	0	1	1



100 მეტრის ახალი მეფე ჯასტინ გალტინი



ტაილორ დენტი, ნიკოლას მასუ და ფერნანდო გონსალესი: ჩილელებმა (მასუ-გონსალესი) სამივე მედალი ჩოგბურთით მოიპოვეს

REUTERS აიენიდან

**სარბიელი**  
საერთოული გაზეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოცემის ორგანიზაცია,  
სამშრობო ორგანიზაცია,  
საინფორმაციო,  
პარაკაპის და შავი

გამომცემელი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი ვიქტორი (მძრომძრომელი)  
რედაქტორი თამაზ მიხრაიანი  
რედაქტორის მოადგილე სოსო კლდიაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუაიაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერასტი, დავით თაყაი-  
ქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე  
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ანდრეასიანი, ილია ბაბუნა-  
შვილი, გიორგი დარჯანიანი, გიორგი ვაშაყიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა  
ბუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შირაშვილი  
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია  
ფოტორედაქტორები: გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუბუნიშვილი, ვლენე  
გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგ-  
რაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზუ-  
რაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
შაველიძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი - 79, საზოგადოებრივი  
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.  
ელექტრონული ფოსტა  
sarbieri@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbieri.com.ge>